

ალექსანდრე
შვალტსერელიძე

ბიბლიოგრაფია



«ქეცნიერება» 1978

Александр
Твалчрелидзе

1881-1957

Биобиблиография



Издательство «Мецниереба»
Тбилиси
1978

ალექსანდრე
შვალბერელიძე

1881-1957

ბიობიბლიოგრაფია



გამომცემლობა «მეცნიერება»
თბილისი
1978

ნაშრომი წარმოადგენს გამოჩენილი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიწერალოგიისა და პეტროგრაფიის კათედრის ფუძემდებლის ა. თვალჭრელიძის ბიობიბლიოგრაფიას.

წიგნში მოცემულია ამ დიდი მეცნიერის ცხოვრება-მოღვაწეობის მიმოხილვა, მისი ცხოვრების ღირსშესანიშნავი თარიღები.

ბიობიბლიოგრაფიაში ვრცელი ადგილი უკავია ა. თვალჭრელიძის შრომათა ქრონოლოგიურ-ანბანურ ნუსხას. ცალკე ჩამოთვლილია ა. თვალჭრელიძის გამოუქვეყნებელი ნაშრომები, ლიტერატურა მის შესახებ და მისი რედაქტორობით გამოქვეყნებული შრომები.

Труд представляет собой библиографию выдающегося грузинского ученого и общественного деятеля, основателя кафедры минералогии и петрографии Тбилисского государственного университета А. А. Твалчрелидзе.

В нем дано обозрение жизни и деятельности выдающегося ученого.

В библиографии значительное место занимает хронологическо-алфавитный перечень трудов А. А. Твалчрелидзе. Отдельно перечислены его неопубликованные труды, литература о нем и труды опубликованные под его редакцией.

ბიობიბლიოგრაფიული სერიის მთავარი სარედაქციო კოლეგია: შ. ძიძიგური (მთ. რედაქტორი), ლ. გაბუნია, თ. დავითაია, მ. დარასელია, ვ. კუპრაძე, ვ. მახალდიანი, ვ. ოკუჯავა, ა. ფრანგიშვილი, გ. ციციშვილი, ს. ხადური (მდივანი).

შემდგენელი გ. მგელაძე-ბორჯაძე

რედაქტორები კ. ჯავრიშვილი, ნ. გურგენიძე

ბიბლიოგრაფიული რედაქცია თ. ნაკაშიძისა

Главная редакционная коллегия библиографической серии: Ш. В. Дзидзигური (гл. редактор), Л. К. Габуниа, Ф. Ф. Давитая, М. К. Дараселия, В. Д. Купрадзе, В. В. Махалдиани, В. М. Окуджава, А. С. Прангишвили, Г. В. Цицишвили, С. А. Хадури (секретарь).

Составитель Г. В. Мгеладзе-Борджадзе

Редакторы: К. В. Джавришвили, Н. А. Гургенидзе

Библиографический редактор Т. Е. Накашидзе



ალექსანდრე თვალჭრელიძე

სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის მოკლე
მიმოხილვა

გამოჩენილი ქართველი საბჭოთა გეოლოგი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ალექსანდრე თვალჭრელიძე დაიბადა 1881 წლის 1 დეკემბერს (ახ. სტილით) სტანიცა ბათალფაშინსკაიაში (შემდეგ ქ. ბათალფაშინსკი, ამჟამად ქ. ჩერკესკი, ყარაჩაი — ჩერქეზეთის აო, რსფსრ-ის სტავროპოლის მხარე), სადაც მამამისი, ცნობილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, ანტონ თვალჭრელიძე მსახურობდა მასწავლებლად. შემდეგ იგი სახალხო სასწავლებელთა სტავროპოლის დირექციის ინსპექტორად დაინიშნა. ანტონ თვალჭრელიძე რაჭის მაზრის ს. ცახის (ამჟამად საქართველოს სსრ ამბროლაურის რაიონი) მკვიდრი იყო. ბავშვობაში იგი სახლიდან გაიქცა, სწავლობდა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში, ხოლო შემდგომ თბილისის ალექსანდრეს სამასწავლებლო ინსტიტუტში სამუშაო პედაგოგიური განათლება მიიღო. სწავლის დამთავრების შემდეგ იგი, როგორც სახელმწიფო ხარჯზე მყოფი მოსწავლე, სამუშაოდ გაამწესეს ჩრდილო კავკასიაში, სტანიცა ბათალფაშინსკაიაში. ჩრდილო კავკასიაში გაატარა მან ცხოვრების დიდი ნაწილი. იგი 1930 წელს გარდაიცვალა ციხისძირში, სადაც პენსიაში გასვლის შემდეგ ცხოვრობდა. სახალხო განათლების გარდა ანტონ თვალჭრელიძე დიდ დროს ანდომებდა სოფლის მეურნეობის საკითხებს; მის კალამს ეკუთვნის რამდენიმე შრომა სტავროპოლის მხარის ეკონომიკის, სოფლის მეურნეობისა თუ ეთნოგრაფიის შესახებ. ალექსანდრე თვალჭრელიძის დედა — პრასკოვია ტიმოთეს ასული! ასტახოვა — იყო პედაგოგი — იგი მასწავლებლობდა სახალხო დაწყებით სასწავლებლებში.

ბავშვობაში ალექსანდრეზე დიდი გავლენა მოახდინა მისმა ბიძამ — მამის უმცროსმა ძმამ — ნიჭიერმა ქართველმა პოეტმა პარმენ თვალჭრელიძემ (ცახელმა), რომელიც ხშირად ცხოვრობდა უფროსი

ძმის ოჯახში, მისივე დახმარებით დაამთავრა მოზღვოვის სამოქალაქო ექვსკლასიანი სკოლა და მასწავლებლობას მიჰყო ხელი.

1900 წელს ალექსანდრე თვალჭრელიძემ დაამთავრა სტავროპოლის კლასიკური გიმნაზია. დადგა ცხოვრების გზის არჩევის დრო. როგორც თვითონ იგონებს, იმ დროისათვის მას უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა ბუნებისმეტყველი გამოსულიყო. ამ მხრივ მასზე დიდი გავლენა მოუხდენია ცნობილი რუსი პუბლიცისტის დ. პისარევის წერილებს, ისადაც იგი თანამედროვე ცხოვრებაში ბუნებისმეტყველების დიდ მნიშვნელობას ასაბუთებს.

იმავე წელს ა. თვალჭრელიძე მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა. მოსკოვის უნივერსიტეტში მაშინ მრავალი თვალსაჩინო მეცნიერი-ბუნებისმეტყველი მოღვაწეობდა: გეოქიმიკოსი და მინერალოგი ვ. ვერნადსკი, ქიმიკოს-ორგანიკოსები ნ. ზელინსკი და ვ. მარკოვნიკოვი, ზოოლოგი მ. მენზბირი, გეოლოგი და პალეონტოლოგი ა. პავლოვი, მცენარეთა ფიზიოლოგი კ. ტიმირიაზევი, ფიზიკოსი ნ. უმოვი და სხვ. ყოველი მათგანის გარშემო თავს იყრიდნენ ახალგაზრდა მეცნიერები; იქმნებოდა სამეცნიერო სკოლები, რომელთაც შეიძლომ თვალსაჩინო როლი ითამაშეს. ფიზიკა-მათემატიკური ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო განყოფილების პირველკურსელი სტუდენტი ალექსანდრე თვალჭრელიძე მუყაითად მეცადინეობს, განსაკუთრებით მას პრაქტიკული და ლაბორატორიული სამუშაოები იტაცებს; ამავე დროს მას, როგორც იგი თავის მოგონებებში აღნიშნავს, ზოგჯერ თავისი ცოდნის არასაკმარისი დონე აწუხებს. ამგვარი კრიტიკული მიდგომა თავისი ცოდნისადმი მის ცხოვრებას წითელ ზოლად გაჰყვა: უკვე სპეციალისტ-გეოლოგი, თბილისის უნივერსიტეტის მინერალოგიისა და პეტროგრაფიის კათედრის გამგე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, კავკასიის სასარგებლო წიაღისეულის დიდად ერუდიტი-რებული მკვლევარი, ხშირად, მისთვის ჩვეული თავმდაბლობით, ჩიოდა, რომ დრო არა აქვს, რათა შეავსოს ცოდნა. ხშირად კი, ამა თუ იმ პრობლემის კვლევისას წამოჭრილი, მისთვის თითქოსდა უცნობი საკითხები, მსოფლიო მეცნიერებაში ჯერაც გადაუჭრელი იყო.

1901 წლის ზაფხულში, საკურსო გამოცდების ჩაბარების შემდეგ, ალექსანდრე აყალიბებს ბუნების მოყვარულთა ჯგუფს და ფეხით მოგზაურობს ვლადიკავკავიდან ქუთაისამდე. მოგზაურობისას მათ მოიარეს ალპური მდელოები და მყინვარები, მთიელთა ძნელ ცხოვრებასაც გაეცნენ; დაათვალიერეს საღონის მალაროები, წვის ლამაზი ზეობა და მამისონის უღელტეხილით საქართველოში გადმოვიდნენ.

ამან ალექსანდრეზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, — კიდევ უფრო ვალევიდა მისი სურვილი — საფუძვლიანად შეესწავლა ბუნებისმეტყველება, რათა მოგზაურობისას წამოჭრილ კითხვებზე ეპოვნა პასუხი.

1902 წლის ზამთარში ალექსანდრე თვალჭრელიძემ მონაწილეობა მიიღო სტუდენტთა პოლიტიკურ კრებაში, სადაც მიღებულ იქნა რეზოლუცია რუსეთში საკონსტიტუციო მმართველობის შემოღების შესახებ. კრების შემდეგ რამდენიმე ასეული სტუდენტი დააპატიმრეს და ბუტირის ციხეში მოათავსეს. აქ, „ბუტირკაში“, გაიცნო ა. თვალჭრელიძემ რევოლუციონერები, რომელთაც ახალგაზრდა სტუდენტს მრავალი პოლიტიკურ საკითხი განუმარტეს. შემდეგ იგი ქ. იზიუმის ციხეში გადაიყვანეს და რამდენიმე თვე მან განმარტოებულ საკანში გაატარა. „ციხე ჩემი მეორე უნივერსიტეტი იყო — წერს თვალჭრელიძე — გერცენის, ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვის, პისარევისა და სხვათა წიგნებში ვიპოვე პასუხი ბევრს საჭირობოროტო საკითხზე. გ. პლეხანოვის წიგნმა „ისტორიაზე მონისტური შეხედულების განვითარების შესახებ“ მიმიყვანა სოციალ-დემოკრატებთან“. ახალგაზრდა სტუდენტის მაგიდაზე საბუნებისმეტყველო წიგნების ადგილი ევროპის ისტორიის საკვანძო ეპოქებისადმი მიძღვნილმა შრომებმა დაიკავეს.

ციხიდან გამოშვების შემდეგ ალექსანდრე კვლავ სტუდენტთა იატაკქვეშა ორგანიზაციებს უკავშირდება, მონაწილეობს არალეგალური ლიტერატურის გამოცემაში. სტუდენტთა ამ ორგანიზაციების თაოსნობით ყალიბდება მბეჭდავ მუშათა კავშირი, რომელიც ხელმძღვანელობს სიტინის სტამბის მუშათა გაფიცვას; გაფიცვა გამარჯვებით დაგვირგვინდა. 1905 წლის მლეღვარე დღეებში ალექსანდრე თვალჭრელიძე შეცვლილი გვარით, სხვისი პასპორტით] ცხოვრობს.

1905—1907 წწ. რევოლუციის დამარცხების შემდეგ ა. თვალჭრელიძე უბრუნდება სწავლას, მეცნიერებას: მონაწილეობს დიგორის მყინვართა შემსწავლელ ექსპედიციაში, ხოლო 1907 წლის შემოდგომაზე, ჯერ კიდევ სტუდენტი, იგი ჩაირიცხა მისკოვის უნივერსიტეტის მინერალოგიურ ლაბორატორიაში შტატგარეშე თანამშრომლად. აქ ეზიარა იგი მინერალოგიურ კვლევას: მას დაავალეს XVIII ს. მხედართმთავრის გრაფ რუმიანცევის უნიკალური მინერალოგიური კოლექციის დამუშავება.

1908 წელს, ზაფხულში, მასწავლებელთა დავალებით, ა. თვალჭრელიძემ შეაგროვა ციხისძირის მიდამოების პოსტულკანურ მინერალთა მდიდარი კოლექცია. შეგროვილი მასალა საფუძვლად დაედო მის პირველ ნაბეჭდ შრომას — „ბათუმის მხარის მინერალოგიისათვის“, რომელიც 1912 წელს გამოქვეყნდა. შემდეგ, აკად. ვ. ვერნადსკის

წინადადებით, იგი მონაწილეობს დელამიწის ქერქში იშვიათ ქიმიურ ელემენტთა განაწილების კვლევაში. ა. თვალჭრელიძეს წილად ხვდა ლითიუმის, რუბიდიუმის, ცეზიუმისა და თალიუმის შესწავლა.

1910 წლის მაისიდან აგვისტომდე იგი გერმანიაში, გეტინგენის უნივერსიტეტში, ე. წ. საზაფხულო სემესტრის განმავლობაში ისმენს პროფ. მიუგეს ლექციებს მინერალოგიაში.

1912 წლის 29 მაისს ა. თვალჭრელიძემ პირველი ხარისხის დიპლომით დაამთავრა უნივერსიტეტი. სახელმწიფო გამოცდების ჩაბარების გარდა, მან დამთავრებისას, წარადგინა სადიპლომო (საკანდიდატო, როგორც მას უწოდებდნენ ზოგიერთ უნივერსიტეტში) შრომა „ზოგიერთ ალუმინსილიკატში ლითიუმის, რუბიდიუმის, ცეზიუმისა და თალიუმის სპექტროსკოპიული შესწავლა“ და მიიღო ბუნებისმეტყველების კანდიდატის წოდება.

ჯერ კიდევ გიმნაზიაში იგი იმდენად გაიტაცა ტანვარჯიშმა, რომ სტუდენტობისას მოსკოვის ერთ-ერთ გიმნაზიაში ტანჯვარჯიშის მასწავლებლადაც კი მუშაობდა. 1912 წლის ზაფხულში იგი მონაწილეობს მოსკოვის დელეგაციის შემადგენლობაში საზოგადოება „შევარდენის“ შეჯიბრებაში, რომელიც პრალაში გაიმართა. აქ მან გაიცნო პეტერბურგის დელეგაციაში მყოფი გიორგი ნიკოლაძე. პრალაში ალექსანდრე თვალჭრელიძე დაინტერესდა მინერალოგიური მუზეუმით; პრალიდან კი ბერლინს გაემგზავრა იქაური მუზეუმების გასაცნობად.

სტუდენტურ წლებშივე დაუახლოვდა ა. თვალჭრელიძე თავის მასწავლებელს ვ. ვერნადსკის და ჯერ კიდევ ახალგაზრდა მეცნიერს, მაგრამ უკვე ცნობილ და სერიოზულ მკვლევარს — ალექსანდრე ფერსმანს. ამიტომ სრულიად ბუნებრივი იყო, რომ უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, 1912 წლის სექტემბრიდან, იგი იწყებს მუშაობას პეტერბურგში ვ. ვერნადსკისთან გეოქიმიურ ლაბორატორიაში. აქ მან 1913 წლის ივლისამდე დაჰყო. ლაბორატორიაში იგი აგრძელებს სტუდენტობისას დაწყებულ კვლევებს მინერალოგიასა და გეოქიმიაში, ამ კვლევათა ზოგიერთი შედეგი მან მოახსენა რუსეთის ბუნებისმეტყველთა და ექიმთა XIII ყრილობას თბილისში, რომელიც 1913 წლის 16—24 ივნისს გაიმართა. მინერალოგიისა და გეოლოგიის სექციონზე მან გააკეთა მოხსენება „ციხისძირის მინერალები“. მიუხედავად, ერთი შეხედვით, თემის ლოკალურობისა, არსებითად ამ შრომით დაიწყო ალექსანდრე თვალჭრელიძის კვლევათა საკმაოდ ვრცელი ციკლი, რომელიც ჰიდროთერმულ მინერალთწარმოქმნელ პროცესებს მიეძღვ-

ნა; ამ თემატიკამ შემდგომ დიდი ადგილი დაიკავა არა მარტო ა. თვალჭრელიძის, არამედ მის მიერ დაარსებული ინსტიტუტის მეცნიერთა შრომებში. კამათში გამოსულმა სპეციალისტებმა მაღალი შეფასება მისცეს მის მოხსენებას. ყრილობაზე ალექსანდრე თვალჭრელიძე გამოვიდა აგრეთვე ჟურნალ „რუსეთის მინერალოგიისა და გეოლოგიის წელიწადურის“ სტრუქტურის შესახებ გამართულ კამათში.

1913 წელს ივლისში ალ. თვალჭრელიძე სამუშაოდ გადადის დონის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ქ. ნოვოჩერკასკში. აქ იგი იკავებს უფროსი ასისტენტის თანამდებობას, მინერალოგიური კაბინეტის მცველის თანამდებობაზე კი სამეცნიერო მუშაობას აგრძელებს.

ალექსანდრე თვალჭრელიძე, გამოჩენილი პედაგოგისა და სახალხო მასწავლებლის შვილი, ბავშვობიდანვე სახალხო განათლების მაღალ იდეებს ეზიარა. მის ოჯახს ხომ ყოველთვის არსებითი კავშირი ჰქონდა სახალხო განათლების საჭირობორტო საკითხებთან. დონის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში იჩინა თავი ალექსანდრე თვალჭრელიძის თანდაყოლილმა პედაგოგიურმა ნიჭმა. 1914 წელს იგი იწყებს აგრეთვე ლექტორად მუშაობას ქალთა უმაღლეს კურსებზე.

1914 წელს დაიწყო მსოფლიო ომი. ომმა მეცნიერთა, მათ შორის გეოლოგთა წინაშე, ახალი ამოცანები დააყენა. 1915 წელს ვ. ვერნადსკის ინიციატივით მეცნიერებათა აკადემიაში დაარსდა ბუნებრივ საწარმოო ძალთა შემსწავლელი კომისია. ეს კომისია მიზნად ისახავდა ბუნებრივი ნედლეულის რესურსების გამოვლენას რუსეთში, რაც თავის მხრივ მრეწველობის ახალი დარგების განვითარებისა და უცხოეთის კაპიტალისგან თავის დაცვების მყარ საფუძველს შექმნიდა. ა. თვალჭრელიძე აქტიურად ჩაება კომისიის მუშაობაში. 1917 წელს იგი მონაწილეობს ლაზეთის ტერიტორიაზე გაშლილ კვლევით სამუშაოებში. შეიძინა თვე გაატარა მან ველზე, ეცნობოდა ტერიტორიის გეოლოგიურ აგებულებას და სასარგებლო წიაღისეულს. საწარმოო ძალთა კომისიის დავალებით დაიწყო მან ბენტონიტური თიხების კვლევა.

ა. თვალჭრელიძე იმ ქართველ მეცნიერთა უფროსი თაობის პლეადას ეკუთვნის, რომელთაც იმთავითვე იგრძნეს თბილისში უმაღლესი განათლების ეროვნული კერის დაარსების საჭიროება. 1913 წელს ა. თვალჭრელიძემ გაიცნო ქართული უნივერსიტეტის დაარსების ინიციატორი ივ. ჯავახიშვილი. ივ. ჯავახიშვილმა ალექსანდრეს პირობა ჩამოართვა, რომ თბილისში უნივერსიტეტის დაარსებისთანავე ჩამოვიდოდა უნივერსიტეტში სამუშაოდ.

უნივერსიტეტი 1918 წელს გაიხსნა. ალ. თვალჭრელიძემ მაშინვე მიიღო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობისგან მიწვევა, მაგრამ სამოქალაქო ომის პირობებში მან მხოლოდ 1919 წელს შეძლო თბილისში ჩამოსვლა.

ივ. ჯავახიშვილის წინადადებით 1919 წლის ოქტომბერში ა. თვალჭრელიძე კითხულობს საჯარო ლექციას „პოსტულკახური მოვლენები საქართველოში“, ხოლო ამის შემდეგ იგი საბჭოს წარუდგინეს. ა. თვალჭრელიძე არჩეულ იქნა პროფესორად და მინერალოგიისა და პეტროგრაფიის კათედრის გამგედ. ამ თანამდებობაზე იგი სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე მუშაობდა.

სწორედ თბილისის უნივერსიტეტის კედლებში გაიფურჩქნა ა. თვალჭრელიძის თანდაყოლილი პედაგოგიური ნიჭი. პირველივე დღიდან ჩაება იგი კათედრის შექმნის, სასწავლო პროცესის მოწესრიგების რთულ სამუშაოში. ძირითადი დაბრკალება სახელმძღვანელოებისა და სასწავლო ნივთების — კრისტალთა მოდელების, მინერალთა და ქანთა კოლექციების უქონლობა იყო. ა. თვალჭრელიძემ გადაწყვიტა უპირველეს ყოვლისა გეომეტრიული კრისტალოგრაფიის სახელმძღვანელო შეექმნა. ვინაიდან იგი სათანადოდ ვერ ფლობდა ქართულს, მან სახელმძღვანელო რუსულად დაწერა, ხოლო სოლომონ იორდანიშვილმა — მაშინ სტუდენტმა, იგი ქართულად ვადმოთარგმნა. სტუდენტთა მოწინავე ჯგუფმა ითავა მრავალი ტექნიკური საკითხის მოგვარება და, აი, 1920 წლის მარტში გეომეტრიული კრისტალოგრაფიის კურსი უკვე დაისტამბა. „ამრიგად სტუდენტები უზრუნველყოფილნი იყვნენ მშობლიურ ენაზე არსებული სახელმძღვანელოთი, ხოლო მე ჩემი დაძაბული შრომის ჯილდოდ გამოცდაზე მათ მკაფიო ვააზრებულ პასუხებს ვისმენდი“, — აღტაცებით წერს ალ. თვალჭრელიძე მოგონებებში.

გეომეტრიული კრისტალოგრაფიის კურსი უმაღლესი სკოლისათვის შექმნილი ერთ-ერთი პირველი ქართული სახელმძღვანელოა. პეტრე მელიქიშვილმა დიდად შეაფასა სახელმძღვანელო და მისი ავტორის ოპერატიულობა სახელმძღვანელოს შექმნაში.

ა. თვალჭრელიძე სამართლიანად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მინერალოგიისა და პეტროგრაფიის სწავლებისას მინერალთა და ქანთა კოლექციებს. ამიტომ იყო, რომ მან უნივერსიტეტში მუშაობის პირველივე დღიდან დაიწყო ზრუნვა სათანადო მუზეუმის მოწყობაზე. მას ხომ ამ დროისათვის უკვე ჰქონდა სამუზეუმო მუშაობის გარკვეული გამოცდილება; იგი კარგად იცნობდა პეტერბურგის, პრადისა და ბერლინის უმდიდრეს მუზეუმებსაც.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ა. თვალჭრელიძე არ იფარგლება მხოლოდ საუნივერსიტეტო ლექციებით — იგი ებმება იმ დიდ საგანმანათლებლო მუშაობაში, რომელიც მაშინ მთელს ჩვენს ქვეყანაში გაიშალა. იგი კითხულობს პოპულარულ ლექციებს მინერალოგიაში, შრომის სკოლის მასწავლებლებთან ატარებს პრაქტიკულ მეცადინეობას; მუშებისათვის, წითელარმიელთა და მასწავლებელთათვის აწყოებს გეოლოგიურ ექსკურსიებს, განათლების მუშათა სახლში მართავს გამოფენას: „თბილისის მიდამოების მინერალური სამყარო“. იგი მინერალოგიისა და პეტროგრაფიის სპეციალურ ლექციებს კითხულობს საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების ტურისტულ განყოფილებაში.

ა. თვალჭრელიძის მუშაობა ყოველთვის წარმოადგენდა გეოლოგიური მეცნიერების სხვადასხვა დარგისა და პრაქტიკის შეზომედებით შეხამებას. მოღვაწეობის ეს თვისება მან მემკვიდრეობად მიიღო თავისი დიდი მასწავლებლისგან — გამოჩენილი საბჭოთა გეოლოგის ვ. ვერნადსკისგან (1863—1945). ალ. თვალჭრელიძის მთელი მოღვაწეობისათვის დამახასიათებელ პრაქტიკულ მიზანდასახულობას თან სდევდა საკვლევი საკითხების ღრმა თეორიული დამუშავება. მოღვაწეობის პირველივე ნაბიჯებიდან იგი თავისი ხალხისათვის სარგებლობის მოტანას ცდილობდა.

1924 წლიდან ა. თვალჭრელიძე აქტიურად ებმება სასარგებლო წილისეულის ძეგლის საქმეში და თავის შემდგომ საქმიანობას აქტიურად უკავშირებს ამიერკავკასიისა და საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოების სამთო განყოფილებათა საქმიანობას. ამავე წელს იგი იწყებს გრაფიტის ძეგლით სამუშაოებს ძირულის მასივის აღმოსავლეთ ფერდობებზე, მაგრამ იგი მხოლოდ პრაქტიკული სამუშაოებით არ იფარგლებოდა, და იწყებს ამ მასივის ქანების სისტემურ პეტროგრაფიულ შესწავლას, აბამს ამ სამუშაოში მოწინავე სტუდენტებს. წლიდან წლამდე დაჰყავდა მას სტუდენტები ამ მეტად საინტერესო გეოლოგიურ ობიექტზე. „ჩვენი სტუდენტები ჩვენთან ერთად იზრდებოდნენ. ისინი გატაცებით მისდევდნენ ძირულის მასივის გეოლოგიური აგებულების საიდუმლოებათა კვლევას. დრო გადიოდა, სტუდენტები ამთავრებდნენ უნივერსიტეტს და პოლიტექნიკურ ინსტიტუტს (ა. თვალჭრელიძე 1928—1948 წწ. მინერალოგიისა და პეტროგრაფიის კათედრას საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტშიაც ხელმძღვანელობდა), სრულუფლებიანი გეოლოგები ხდებოდნენ, მაგრამ ინტერესი ძირულის მასივის მიმართ არ ცხრებოდა, ჩნდებოდა პირველი სამეცნიერო შრომები, პირველი განზოგადებანი, ხოლო მათ

მოწყვეა ღრმა მეცნიერული შრომები დისერტაციების სახით. ასე, შეგობრულ და დაძაბულ შრომაში იქმნებოდა საქართველოს ქალების ჯვლეფართა—ახალგაზრდა პეტროგრაფთა სკოლა“—იგონებს ა. თვალჭრელიძე. და, მართლაც, აღ. თვალჭრელიძის მიერ ძირულის მასივის კვლევა, დაწყებული 1924 წელს, შემდეგ გადაიზარდა საქართველოს შავმური და მეტამორფული ქანების გეგმაზომიერ კვლევაში, რომელიც მოიცავს არა მარტო ძირულის, არამედ სხვა ძველი მასივების (ზრამის, ლოქის), კავკასიონის კრისტალური გულისა და სხვა ობიექტების დეტალურ შესწავლას. ძირულის მასივის კვლევის ზოგიერთი შედეგი თვითონ ა. თვალჭრელიძემ მაშინვე განაზოგადა — 1927 წელს მან მინერალოგთა პირველ საკავშირო თათბირზე მოხსენება გააკეთა ძირულის მასივის პეგმატიტების შესახებ.

ოციან წლებშივე იწყებს ა. თვალჭრელიძე ბენტონიტური თიხების, ერთგვარად კლასიკურად ქცეულ, გამოკვლევებს.

ბენტონიტებით — „ფულერის მიწებით“, როგორც მაშინ უფრო ხშირად უწოდებდნენ, ა. თვალჭრელიძე პირველად 1916 წელს დაინტერესდა, როდესაც ბუნებრივ საწარმოო ძალთა შემსწავლელი კომისიის დავალებით ძებნით სამუშაოებს აწარმოებდა დასავლეთ საქართველოში. ბენტონიტებით დაინტერესება შემთხვევითი როდი იყო: საწარმოო ძალთა კომისიის პირველი შრომა იყო ა. ფერსმანის „მაულის მოსათელი თიხები რუსეთში“. ამ შრომაში მკაფიოდ იდგა საკითხი განსაკუთრებული თიხოვანი წარმონაქმნების — „ფულერის* მიწების“ ძებნის შესახებ, ჩამოთვლილი იყო იმ დროისთვის რუსეთში ცნობილი საბადოები. განსაკუთრებული ყურადღება ა. ფერსმანმა მიაქცია ყირიმში არსებულ „კილს“, რომელიც ზღვის წყალში რეცხვის დროს გამოიყენებოდა. ა. თვალჭრელიძემ სამართლიანად ივარაუდა, რომ ალბათ ასეთივე თვისებების მქონე უნდა იყოს დასავლეთ საქართველოში კარგად ცნობილი ე. წ. „თავსაბანი მიწა“. ნოვოჩერკასკში მყოფ ქართველ სტუდენტთა წინასწარი გამოკითხვით მან დასახა რამდენიმე საკვლევი ობიექტი. სტუდენტებმა ჩამოუტანეს მას მშობლიური სოფლებიდან ბენტონიტური თიხების ნიმუშები, რომელიც ა. თვალჭრელიძემ დეტალურად შეისწავლა.

1916 წლის ზაფხულში იგი მიემგზავრება დასავლეთ საქართველოში. ბენტონიტების მეტ-ნაკლები სიმძლავრის ბუდობები აღმოჩნდა ორმოცდაცამეტ პუნქტში. ყველაზე დიდი ბუდობი აღმოჩნდა სოფ. გუმბრში, ქუთაისის მიდამოებში და სოფ. ასკანაში გურიაში.

* fuller ინგლისურად მაულის მთელავს ნიშნავს.

1917 წლის რევოლუციურმა მოვლენებმა და სამოქალაქო ომმა შე-
იჩერა დაწყებული გამოკვლევები. მხოლოდ 1928 წელს შეძლო ა.
თვალჭრელიძემ კვლავ დაეწყო ბენტონიტების კვლევა.

1928 წლის გაზაფხულზე ა. თვალჭრელიძე მიემგზავრება ბაქოში
„აზნავთობის“ ცენტრალურ ლაბორატორიაში, სადაც ლაბორატორიის
მუშაკთა დახმარებით ეცნობა ბენტონიტური თიხების გამოცდის შე-
თოდებს. წინასწარმა მიწერ-მოწერამ სხვადასხვა ქვეყნის სპეციალისტებ-
თან, თუნდაც ზოგადად მაინც შეეტყობინებინათ მისთვის გამოცდის შე-
თოდებები, შედეგი არ გამოიღო.

ჩვენს მრეწველობაში მამინ ნავთობის პროდუქტების გასაწმენდად
გამოიყენებოდა იმპორტული ნედლეული აშშ-დან—ბენტონიტური თი-
ხა „ფლორიდინი“ (შტატ ფლორიდაში არსებულ საბადოს მიხედვით).
ამა თუ იმ ბენტონიტის ვარგისიანობა მხოლოდ მისი ქიმიური შედგენი-
ლობით ვერ განისაზღვრება, საჭიროა ჩატარდეს ლაბორატორიული გა-
მოდებები, თანაც სასურველია, რომ ცდა თავისი პირობებით სამრეწვე-
ლო პირობებს უახლოვდებოდეს.

გუმბრის თიხის ტექნიკური გამოცდა ჩატარდა ბაქოში „აზნავთო-
ბის“ ცენტრალურ ლაბორატორიაში, ბათუმში ნავთობის სინდიკატის
ლაბორატორიასა და თბილისის უნივერსიტეტის პატარა ლაბორატორია-
ში, ხოლო შემდეგ (1929 წლიდან) გამოყენებითი მინერალოგიის საქარ-
თველოს განყოფილების ლაბორატორიაში.

გუმბრის თიხის შთანთქმითი უნარის გამოცდა ძირითადად ნავთზე
ჩატარდა. გამოცდას ხელმძღვანელობდნენ ა. თვალჭრელიძე და ინჟი-
ნერ-ქიმიკოსი ს. ფილატოვი. ქუთაისში აშენდა გუმბრის თიხის გადა-
მამუშავებელი საცდელი ქარხანა.

გუმბრის თიხის პირველი საქარხნო გამოცდა ჩატარდა ბათუმში
ამერიკულ საკონსტრუქციო ნავთგამწმენდ ქარხანაში. გუმბრის თიხის
თვისებათა ობიექტური შეფასებისათვის მეორე ფილტრში ჩაიტვირთა
ამერიკული ფლორიდინის იგივე რაოდენობა. საქარხნო გამოცდებმა აშ-
ქარად დაანახვა ყველას, რომ გუმბრის თიხა უფრო „შრომისუნარი-
ანია“, ვიდრე ატაპულგუსის საბადოს (აშშ) თიხა.

ჩვენს მრეწველობაში გუმბრის თიხის დამკვიდრებამ, რომელსაც
მიენიჭა სასაქონლო სახელი „გუმბრინი“, საბჭოთა კავშირი გაათავი-
სუფლა ფლორიდინის იმპორტისაგან. შეიქმნა გუმბრინის მომპოვე-
ბელი ტრესტი „საქგუმბრინი“. გუმბრინის კვლევასა და ათვისებას არა
მარტო პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა — 1929 წელს თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის მცირე ლაბორატორიის ბაზაზე შექმნი-

ლი საკავშირო გამოყენებითი მინერალოგიის ინსტიტუტის საქართველოს განყოფილება, რომელიც შემდეგ გადაიქცა საკავშირო მნიშვნელობის სამეცნიერო ცენტრად — კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტად. ეს ინსტიტუტი ამჟამად ატარებს თავისი დამაარსებლისა და მრავალი წლის განმავლობაში უცვლელი დირექტორის სახელს.

აღ. თვალჭრელიძის ხატოვანი თქმით, „ასე შეიქმნა თიხისაგან ინსტიტუტი“.

ამჟამად, მიუხედავად იმისა, რომ კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტი იკვლევს კავკასიის სასარგებლო წიაღისეულის თითქმის ყველა სახეობას, ბენტონიტური თიხების კვლევას ტრადიციულად ინსტიტუტში ერთ-ერთი საპატიო ადგილი უკავია.

გუმბრინის შემდეგ ასკანის საბადოს ჯერიც დადგა. აქტივირებული ასკანის თიხა „ასკანიტი“ ძვირფასი ნედლეული გამოდგა ზეთებისა და ცხიმების გაწმენდისათვის. მალე ასკანის საბადოს ბაზაზე მცირე სიმძლავრის საცდელი საწარმო აშენდა, ხოლო ომის შემდგომ წლებში იქაც დაიწყო თიხის საწარმო მოპოვება. ამჟამად ასკანის საბადოს პროდუქცია ფართოდ გამოიყენება მრეწველობის სხვადასხვა დარგში სამსხმელო წარმოებიდან — ფარმაკოლოგიამდე.

ბენტონიტების კვლევისას აღ. თვალჭრელიძე არ ივიწყებდა სხვა ნედლეულსაც. მრეწველობის სხვა დარგების მოთხოვნასაც.

1930 წელს იგი იწყებს დარიშხანის საბადოების კვლევას მდ. ლუხუნის წყლის ხეობაში. გავიდა ხანი და იქაც, აღ. თვალჭრელიძისა და მისი მოწაფეების მიერ შესწავლილი საბადოს ბაზაზე, ამოქმედდა საწარმო.

მწყობრში ჩადგა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა და ა. თვალჭრელიძე ეძებს ნედლეულს, რომლითაც შეიძლება შეიცვალოს ფეროსილიციუმის წარმოებაში გამოყენებული დონბასის კვარციტები. ასე იწყება ბრილის ქედზე ქალცედონის მოპოვება.

30-იან წლებში გამოყენებითი მინერალოგიის ინსტიტუტი მეტად აფართოებს თავის თემატიკას: იგი მოიცავს საქართველოსა და სომხეთის ბარიტებს, ბაკურიანის მყავავამძლე ლავებს, ობსიდიანს, სამხრეთ ოსეთის, ლაბოტის ხეობის, მოლითისა და მარელისის მარმარილოებს, ეკლარის კირქვას, წიფის დიორიტს, აქატს, მინერალურ საღებავებს, მაგრამ წამყვანი მაინც ბენტონიტური თიხების კვლევაა. 1931 წელს ა. თვალჭრელიძე ვრცელი მოხსენებით გამოდის ბენტონიტებისადმი მიძღვნილ პირველ საკავშირო თათბირზე. თუ შევაჯამებთ ა. თვალჭრელიძის ხელმძღვანელობით ინსტიტუტის მიერ გაწეულ სამუშაოს, უკვე თქმულს უნდა დავუმატოთ თემისა და ბოლნისის ტუფის და ტალკის

საბადოები სამხრეთ ოსეთში. ერთგვარ ანგარიშს ჩვენი სამთო-გეოლო-
გიური საზოგადოების წინაშე წარმოადგენდა ა. თვალჭრელიძის მოხსე-
ნება ამიერკავკასიის პირველ გეოლოგიურ-საძიებო კონფერენციაზე,
რომელიც გაიმართა თბილისში 1932 წლის 15—19 აპრილს.

იმავე წელს საქართველოს განსახკომის საკვალიფიკაციო კომი-
სიამ მიანიჭა მას პროფესორის წოდება.

1933 წელს გამოიცა საქართველოს მინერალური რესურსებისად-
მი მიძღვნილი დიდი განმარტებული ნაშრომი, სადაც თითქმის საუ-
კუნოვანი კვლევის შედეგებია დაჯამებული. ა. თვალჭრელიძე ამ წიგ-
ნის ერთ-ერთი აქტიური ავტორია.

30-იან წლებშივე გამოდის ა. თვალჭრელიძის შესანიშნავი სახელ-
მძღვანელო „კრისტალთა ოპტიკის შესავალი“, რომელშიც მარტივად
და ამავე დროს მკაცრი მეცნიერული პრინციპების დაცვით გაშუ-
ქებულია კრისტალური ნივთიერების ოპტიკის რთული საკითხები,
რაც აუცილებლად სჭირდებათ ქანთა და მინერალთა მკვლევარებს.

30-იანი წლების ბოლოს ა. თვალჭრელიძის მოწაფეთაგან ბევრმა
უკვე საკანდიდატო დისერტაციაც დაიცვა, ზოგი მათგანი შემდგომ მე-
ცნიერების დოქტორიც გახდა.

დიდ სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად ა. თვა-
ლჭრელიძე ეწეოდა დიდ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მუშაობასაც.
1935—1937 წწ. იგი იყო საქართველოსა და სსსკ-ის ცაკ-ის წევრი;
იგი დელეგატად წარგზავნეს საბჭოების VIII საგანგებო ყრილობაზე
1936 წელს.

ა. თვალჭრელიძის დიდი დამსახურება პირველი ხუთწლეულების
პერიოდში მინერალური ნედლეულის ათვისებისა და კადრების აღზრ-
დის საქმეში სათანადოდ დააფასა ჩვენმა პარტიამ და მთავრობამ: 1936
წელს იგი დაჯილდოვდა შრომის წითელი დროშის ორდენით, 1938—
ცაკის სიგელით, მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატმა იგი რამ-
დენჯერმე დააჯილდოვა ფულადი პრემიით.

1941 წლის თებერვალში, იმ წელს როცა მას 60 წელი უნდა შე-
სრულებოდა, ა. თვალჭრელიძე, საქართველოს სხვა მოწინავე მეცნიე-
რებთან ერთად, აირჩიეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
პირველ შემადგენლობაში.

ეს ღირსშესანიშნავი მოვლენა ერთ-ერთმა პირველმა მიულოცა
მისმა დიდმა მასწავლებელმა აკად. ვ. ვერნადსკიმ: „ძვირფასო ალექსან-
დრე ანტონის ძე! დიდად გამეხარდა, რომ თქვენ ავირჩიეს საქართველოს
მეცნიერებათა აკადემიის წევრად. მიხარია თქვენთვისაც და მიხარია
პრინციპულად, რომ ქართველმა ხალხმა მიიღო სამეცნიერო მუშაო-

ბის მძლავრი ცენტრი. ცხოვრების ისტორიულ მსვლელობაში პეტერ-ბურგის მეცნიერებათა აკადემიის უცნაური ბედი შეხვდა. პარიზის მეცნიერებათა აკადემიის ტიპზე შექმნილმა, მან შეინარჩუნა მისი ის ძვირფასი თვისება, რომელიც დაჰკარგა პარიზის აკადემიამ — მისი ჭავშირი კვლევით ინსტიტუტებთან და პრაქტიკული ცხოვრების მოთხოვნილებასთან. ფრანგულმა აკადემიამ დაჰკარგა ეს თვისება, ისევე როგორც უმეტესმა ფრანგულმა, იტალიურმა, გერმანულმა და ამერიკულმა აკადემიებმა, რომელთაც გააჩნდათ ამ თვისებათა ჩანასახი. XIX საუკუნის შუა წლებიდან ჩვენი რუსული, ახალი საკავშირო აკადემია, წავიდა ამ გზით, განუწყვეტლივ ავითარებდა მას და აძლიერებდა. ამ დროს პარიზის აკადემიამ, რომელიც რევოლუციის დროს დაიხურა და აღდგენილ იქნა ნაპოლეონ I მიერ, დაჰკარგა სამეცნიერო კვლევითი მუშაობის იარაღი.

მე ვუახლოვდები 80 წელს, მაგრამ დღემდე, ჯერჯერობით, სამეცნიერო მუშაობის უნარი და ძალა არ შემსუსტებია, თუმცა ახლა სხეული — გული და თვალები დამიქვეითდა.

ახლა ვიმედოვნებ, რომ ორ-სამ თვეში ჩავებარებ დასაბეჭდად პრობლემების V გამოშვებას „ბიოსფეროს ქიმიური შედგენილობის შესახებ“. იმედი მაქვს მივალწიო იქამდე, რომ შევძლო ზოგიერთი შემდგომი გამოშვების გამოცემაც.

მომწერეთ თქვენსა და თქვენი ოჯახის შესახებ.

თქვენი ვ. ვერნადსკი“

მეცნიერებათა აკადემიაში ა. თვალჭრელიძე სათავეში ჩაუდგა იმავე წელს ჩამოყალიბებულ საწარმოო ძალთა შემსწავლელ საბჭოს. ამ პოსტზე მუშაობისას იგი ერთგვარად, ალბათ მის ახალგაზრდობაში შექმნილ, ბუნებრივ საწარმოო ძალთა შემსწავლელი კომისიის მოღვაწეობასაც უწევდა ანგარიშს. 1941—1947 წწ. იგი ხელმძღვანელობდა მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიისა და მინერალოგიის ინსტიტუტის მინერალოგიის სექტორს. ერთხანს იგი იყო გეოლოგიისა და მინერალოგიის ინსტიტუტის (ასე ეწოდებოდა მაშინ აკად. ალ. ჯანელიძის სახელობის გეოლოგიურ ინსტიტუტს) დირექტორის მოადგილეც.

1941 წლის აპრილში ა. თვალჭრელიძე შევიდა სკკპ რიგებში. დაიწყო დიდი სამამულო ომი და კვლავ მეცნიერთა წინაშე ახალი ამოცანები დადგა. ომის წლებში. ა. თვალჭრელიძე აქტიურად აგრძელებს მინერალური ნედლეულის კვლევით სამუშაოებს; გაისმის მისი მრისხანე ხმა პრესაში — იგი გამოხატავს ჰიტლერულ დამპყრობლებს. თავდაცვით სამუშაოებში მისი დიდი დამსახურება სათანადოდ დაფასდა:

1944 წელს იგი დაჯილდოვდა შრომის წითელი დროშის ორდენით, მეორედ, და მედლით „კავკასიის დაცვისათვის“, ხოლო 1945 წელს მედლით „მამაცური შრომისათვის 1941—1945 წწ. დიდ სამამულო ომში“. 1946 წელს — ლენინის ორდენით, 1949 წელს — შრომის წითელ დროშის ორდენით მესამედ.

ომის შემდგომ წლებში ა. თვალჭრელიძე აქტიურად აგრძელებს თავის მოღვაწეობას: საქართველოს ბუნებრივი რესურსების, კერძოდ, ბენტონიტების შესწავლას, საქართველოს სხვადასხვა რაიონების ბუნებრივ სიმდიდრეთა კომპლექსური ათვისების პრობლემათა კვლევას; არ ცხრება მისი პედაგოგიური მოღვაწეობაც — გამოდის მისი ახალი სახელმძღვანელოები (კრისტალთა ოპტიკის სახელმძღვანელოს გადამუშავებული გამოცემა და მაგმური ქანების პეტროგრაფიის კურსი). ამ წლებში ა. თვალჭრელიძე დიდი ყურადღებას უთმობს მეცნიერების ისტორიის საკითხებს, ხშირად კითხულობს პოპულარულ ლექციებს, მუშაობს მოგონებებზე.

1946 წელს მას მიენიჭა საქ. სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

1953 წელს იგი მეორედ დაჯილდოვდა ლენინის ორდენით.

საწარმოო ძალთა შემსწავლელი საბჭო მისი ხელმძღვანელობით იწყებს საქართველოს რესურსებისადმი მიძღვნილი მრავალტომიანი შემაჯამებელი ნაშრომის მომზადებას. ეს ნაშრომი იბეჭდება უკვე ა. თვალჭრელიძის გარდაცვალების შემდეგ.

1947 წელს უმაღლესი საატქსტაციო კომისია მას დისერტაციის დაუცველად, თბილისის უნივერსიტეტის საბჭოს წარდგინებით, ანიჭებს გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხს. მისთვის დოქტორის ხარისხის «honoris causa» მიკუთვნების შესახებ უნივერსიტეტმა ჯერ კიდევ 1940 წელს დასვა საკითხი, მაგრამ ომმა შეაფერხა ყველა ფორმალური პროცედურის დროულად მოგვარება. უნივერსიტეტის რექტორატის თხოვნით, მაშინვე, ა. თვალჭრელიძის შრომათა დახასიათება გამოგზავნა აკადემიკოსმა ალექსანდრე ფერსმანმა. თავის დახასიათებაში იგი აღნიშნავდა: „ალექსანდრე ანტონის ძე თვალჭრელიძე ეკუთვნის აკადემიკოს ვერნადსკის მოწაფეთა იმ ბრწყინვალე დასს, რომელიც იზრდებოდა მოსკოვის უნივერსიტეტის კედლებში მეცნიერებისადმი უსაზღვრო სიყვარულის, შემოქმედებითი ინიციატივისა და ღრმა მეცნიერული წვდომის პირობებში; და ალექსანდრე ანტონის-ძე მთელს თავის მუშაობაში ხომ ყოველთვის იჩენდა ამ ძვირფას თვისებებს. მან თავის მოღვაწეობაში მოიცვა კრისტალო-

გრაფიის, მინერალოგიის, სასარგებლო წიაღისეულის, ტექნოლოგიისა და პეტროგრაფიის მრავალფეროვანი პრობლემები, აქედან გამომდინარე, მისი ინტერესებისა და სამუშაოების მრავალფეროვნება, დაწყებული ციხისძირის ცვლითა კარგი ზუსტი აღწერებით, შავი ზღვისპირეთის სასარგებლო წიაღისეულის კვლევით და დამთავრებული მათეთრი თიხების (ბენტონიტების) კლასიკური გამოკვლევებით. ამ გამოკვლევებმა გამოამჟღავნეს მისი არა მარტო რთული ბუნებრივი პროცესების ანალიზის უნარი, არამედ მიიყვანეს იგი მნიშვნელოვან თეორიულ და პრაქტიკულ შედეგებამდე, რომელთა დანერგვამ საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობას განსაკუთრებული სარგებლობა მოუტანა და არსებითად საბჭოური ნავთობის გაწმენდის ახალ ეპოქას მისცა დასაბამი.

სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის მშვენიერი ორგანიზატორი, უსაზღვრო სამეცნიერო ინიციატივის მქონე ზუსტი მკვლევარი, იგი ამავე დროს დაწინაურდა როგორც მშვენიერი პედაგოგი, მან! შეძლო თავის გარშემო აღეზარდა მინერალოგთა ახალგაზრდა კადრები, მან დასტამბა კრისტალოგრაფიის, მინერალოგიის რამდენიმე საინტერესო სახელმძღვანელო “

მოტანილი სტრიქონები მოკლედ და ამავე დროს არაჩვეულებრივად ზუსტად აჯამებენ ყოველივეს, რისი თქმაც შეიძლებოდა ალექსანდრე თვალჭრელიძეზე.

ალექსანდრე თვალჭრელიძე გარდაიცვალა 1957 წლის 29 ივლისს თბილისში.

ალ. თვალჭრელიძის მიერ დაწყებული საქმე საქართველოსა და კავკასიის სასარგებლო წიაღისეულის შესწავლის დარგში წარმატებით გრძელდება მისსავე დაარსებულ ინსტიტუტში, რომელიც მის სახელს ატარებს.

გეოლოგთა ახალგაზრდა კადრების მომზადებას წარმატებით განაგრძობენ მის მიერ დაარსებული მინერალოგიისა და პეტროგრაფიის კათედრები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში.

ალექსანდრე თვალჭრელიძის სახელი სამუდამოდ შევიდა ჩვენი მეცნიერების სახელოვან მატრიანეში. მისი დამსახურების კიდევ ერთი დადასტურება გახდა 1975 წელს თბილისელ და მოსკოველ მკვლევარ-

თა ახლად აღმოჩენილი მინერალისთვის მისი სახელის მიკუთვნება. ასე გაჩნდა მსოფლიო მინერალოგიურ ნომენკლატურაში მინერალი თვალჭრელიძეიტი. მინერალის სახელწოდების დასაბუთებაში ნათქვამია: „მინერალს სახელი ეწოდა ქართული მინერალოგიურ-პეტროგრაფიული სკოლის ფუძემდებლის პატივსაცემად“.

მსოფლიო მინერალოგიური ასოციაციის ახალ მინერალთა კომისიამ ეს გადაწყვეტილება დაამტკიცა.

კოტე ჯავრიშვილი
ვასილ ჯავრიშვილი

АЛЕКСАНДР ТВАЛЧРЕЛИДЗЕ

(краткий очерк научной и общественной деятельности)

Выдающийся грузинский советский геолог, академик Академии наук Грузинской ССР Александр Антонович Твалчрелидзе родился 1-го декабря (по нов. стилю) 1881 года в станице Баталпашинской Кубанской области Ставропольской губернии (затем г. Баталпашинок, ныне г. Черкесск, Карачаево-Черкесская АО Ставропольского края РСФСР), где его отец, известный педагог и общественный деятель, Антон Иванович служил учителем. Впоследствии Антон Иванович стал инспектором Ставропольской дирекции народных училищ. Он происходил из крестьян с. Цахи (бывш. Рачинский уезд Кутаисской губернии, ныне Амбролаурский район ГССР). В детстве бежал из дому, учился сначала в Кутаисском духовном училище, а педагогическое образование получил в Александровском учительском институте в г. Тифлисе, и, как казеннокоштный, был направлен на работу на Северный Кавказ в станицу Баталпашинскую. Здесь на Северном Кавказе прошла большая часть его сознательной жизни. Он скончался в 1930 году в Цихис-дзири, где поселился после выхода на пенсию.

Будучи выдающимся педагогом и организатором народного образования, он много занимался вопросами сельского хозяйства, оставив несколько научных трудов по экономике, сельскому хозяйству и этнографии Ставропольского края. Мать Александра Антоновича — Прасковья Тимофеевна Астахова была педагогом — учительницей народных училищ. В детские годы на Александра сильное влияние оказал его дядя — младший брат отца — талантливый грузинский поэт и педагог Пармен Иванович Твалчрелидзе (Цахели), который часто подолгу проживал

у старшего брата и с его помощью окончил Моздокскую шестиклассную городскую школу.

В 1900 г. Александр Твалчрелидзе окончил Ставропольскую классическую гимназию и получил аттестат зрелости. «Вопрос о выборе дальнейшего пути был заранее решен» — пишет Александр Антонович в своих воспоминаниях—... «прочитанные мною яркие статьи блестящего публициста Д. И. Писарева, о роли естествознания в современной жизни, подсказали мне кем стать: натуралистом и только натуралистом».

В том же 1900 году А. А. Твалчрелидзе поступает в Московский университет. В Московском университете тогда преподавали такие выдающиеся ученые, как В. И. Вернадский (минералог и геохимик), Н. Д. Зелинский (химик-органик), В. В. Марковников (химик-органик), М. А. Мензбир (зоолог), А. П. Павлов (геолог и палеонтолог), К. А. Тимирязев (физиолог растений) Н. А. Умов (физик) и др. Вокруг каждого из них группировались молодые ученые и создавались научные школы, сыгравшие в дальнейшем видную роль. «И вот я в Москве, студентом первого курса Естественного отделения физико-математического факультета, слушаю лекции выдающихся профессоров и чувствую как мало подготовлен я к познанию основ наук. Помогают многочисленные практические занятия и постепенно я втягиваюсь в круг новых интересов и становлюсь студентом». Эти строки из воспоминаний Александра Антоновича очень характерны для него: став уже геологом, а спустя годы заведующим кафедрой минералогии и петрографии Тбилисского университета, а в последствии уже после избрания действительным членом Академии наук Грузинской ССР, будучи глубоко эрудированным знатком полезных ископаемых Кавказа, он со свойственной ему скромностью жаловался на отсутствие времени для пополнения недостающих знаний — а по существу это бывало вовсе отсутствием сведений в современной науке по данному вопросу, ответ на который он пылливо старался найти. Но вернемся вновь к воспоминаниям Александра Антоновича о первых студенческих годах его жизни: «Наступает лето 1901 года. Благополучно сдав экзамены, я организовал группу любителей природы и совершил пешеходную экскурсию по Военно-Осетинской дороге, от Владикавказа до Кутаиси. Побывал на нескольких лед-

никах, увидел трудную жизнь горцев, любовался альпийскими лугами, осмотрел Садонские рудники, посетил красивейшее Цейское ущелье и через Мамисонский перевал спустился в Западную Грузию. Впечатлений было много, а знаний очень и очень мало. Но я верил, что на вопросы поставленные природой, я получу со временем ответ».

Зимой 1902 года Александр принял участие в «студенческих беспорядках» — политической сходке, на которой была вынесена резолюция о необходимости установления конституционного правления в России. Несколько сот студентов прямо со сходки были отконвоированы в Бутырскую тюрьму. Там, в «Бутырках» нашел я товарищей — учителей, открывших мне причины нищеты народа, истоки царящей несправедливости» — пишет А. А. Твалчрелидзе в своих воспоминаниях. Затем он был отправлен в г. Изюм, где пробыл в одиночном заключении несколько месяцев — «Тюрьма была моим вторым университетом. У Герцена, Чернышевского, Добролюбова, Писарева и других нашел я простой ответ на «проклятые вопросы». Книга Г. В. Плеханова «К вопросу о развитии монистического взгляда на историю» привела меня в лагерь социал-демократии». Книги о переломных эпохах в истории Европы вытеснили на столе молодого студента курсы естествознания.

Выпущенный из тюрьмы А. А. Твалчрелидзе вновь связался с подпольными студенческими группами, принимал участие в издании нелегальной литературы. Под руководством подпольной студенческой организации был сформирован союз рабочих печатников Москвы. Рабочие типографии Сытина первыми начали известную забастовку, закончившуюся полной победой, а там настал и 1905 год с его бурными событиями. Александр Антонович переменял фамилию и жил с чужим паспортом.

После поражения революции 1905—1907 гг. А. А. Твалчрелидзе возвращается к учебе, к науке: принимает участие в экспедиции по обследованию ледников Дигории, а осенью 1907 года будучи студентом он уже был зачислен внештатным сотрудником минералогической лаборатории Московского университета и ему было поручено привести в порядок уникальную минералогическую коллекцию 18-го века, собранную для графа Румян-

цели, полководца времен Екатерины II. По существу это было первым приобщением к минералогии как науке.

Летом 1908 года, по поручению своих учителей, Александр Твалчрелидзе собрал богатую коллекцию поствулканических минералов окрестностей Цихис-дзири. Собранный материал лег в основу его первой печатной работы—«К минералогии Батумского края» опубликованной в 1912 году. Далее академик В. И. Вернадский предложил ему принять участие в большой работе по выяснению распространенности редких химических элементов в земной коре. На долю А. А. Твалчрелидзе достались литий, рубидий, цезий и талий.

В 1910 году с мая по август А. А. Твалчрелидзе был в Германии, где в продолжении т. н. летнего семестра слушал лекции профессора Мюгге по минералогии в Геттингенском университете.

В 1912 году 29 мая с дипломом первой степени А. А. Твалчрелидзе оканчивает Московский университет. Кроме сдачи государственных экзаменов, он при окончании университета представил дипломную (кандидатскую, как она называлась в некоторых университетах) работу: «Спектроскопические исследования на литий, рубидий, цезий и талий некоторых алюмосиликатов» и получил право именоваться кандидатом естествознания.

Еще в гимназии он увлекся гимнастикой и настолько хорошо овладел ею, что будучи уже студентом, преподавал в одной из московских гимназий. Летом 1912 года, после окончания университета он едет в Прагу на соревнования общества «Сокол» в числе делегатов от Москвы. Там он впервые встретился с Георгием Николадзе, который в свою очередь был в делегации Петербурга. Кроме чисто спортивных дел, в Праге Александр Антонович интересовался и постановкой музейного дела в области минералогии, после Праги с той же целью посетил и Берлин.

Еще будучи студентом Александр Антонович сблизился со своим учителем акад. В. И. Вернадским и молодым еще тогда ученым, но уже известным и серьезным исследователем — впоследствии академиком Александром Евгеньевичем Ферсманом. С сентября 1912 года по июнь 1913 года А. А. Твалчрелидзе работает внештатным ассистентом Геохимической лаборатории Академии наук в Петербурге у В. И. Вернадского. Здесь он продолжил начатые в годы учебы в Университете систематические

занятия в области минералогии и геохимии. Некоторые результаты этих исследований были доложены на XIII съезде русских естествоиспытателей и врачей в Тифлисе, который состоялся с 16 по 24 июня 1913 года. На секции минералогии и геологии он выступил с докладом «Минералы Цихис-Дзири». Несмотря, на первый взгляд, локальность темы, именно с этих исследований начался тот большой цикл работ по гидротермальному минералообразованию, который затем в научной работе Александра Антоновича занял весьма существенное место, а позднее и в работах сотрудников, созданного им института. Выступившие в прениях специалисты высоко оценили доклад. Кроме чисто научного выступления А. А. Твалчрелидзе выступил и по поводу некоторых вопросов структуры издаваемого тогда журнала «Ежегодник по минералогии и геологии России».

В июле 1913 года Александр Антонович переезжает в г. Новочеркасск, где занимает должность старшего ассистента Донского Политехнического института.

А. А. Твалчрелидзе сын выдающегося педагога и преподавательницы народного училища вырос в семье, интересы которой неразрывно были связаны с насущными вопросами народного образования, с детства постоянно находясь в кругу передового учительства. Как раз начав работу в Донском политехническом институте впервые проявился его врожденный талант педагога. В Новочеркасске он не ограничился лишь только одним учебным заведением и с 1914 года начал преподавать на Высших женских курсах. Не оставляет он и научной работы, являясь хранителем Минералогического кабинета Донского политехнического института.

Разразившаяся в 1914 году мировая война поставила перед учеными, в том числе перед геологами-специалистами по полезным ископаемым, новые задачи. В 1915 году по инициативе В. И. Вернадского при Академии наук организуется Комиссия по изучению естественных производительных сил (КЕПС). Эта комиссия ставила своей целью выявление природных сырьевых ресурсов России и, опираясь на них поставить вопрос о создании ряда отраслей промышленности, разорвать позорную зависимость от иностранного капитала. А. А. Твалчрелидзе не остался в стороне от деятельности комиссии, которую организовал его учитель.

В 1917 году он в качестве ученого специалиста участвовал в экспедиции по изучению минеральных ресурсов Турецкого Лазистана и семь месяцев провел в маршрутных поездках, знакомясь с геологическим строением и месторождениями. С КЕПС связаны и его первые работы по бентонитовым глинам.

А. А. Твалчрелидзе принадлежал к той плеяде грузинских ученых старшего поколения, которые еще задолго до открытия в Грузии университета вынашивали планы создания Высшего учебного заведения в Тбилиси. В 1913 году А. А. Твалчрелидзе познакомился с инициатором создания в Тбилиси университета И. А. Джавахишвили и уже тогда между ними возник договор, что Александр Антонович обязательно будет сотрудничать в Университете, который будет создан в Тбилиси.

Тбилисский Университет открылся в 1918 году и тотчас Александр Антонович получает от руководства Университета приглашение, но в условиях Гражданской войны он смог приехать в Тбилиси только в 1919 году.

По предложению И. А. Джавахишвили в октябре 1919 года состоялась публичная лекция А. А. Твалчрелидзе «Поствулканические явления в Грузии», а после этого он был представлен ученому Совету. А. А. Твалчрелидзе был избран профессором и заведующим кафедрой минералогии и петрографии. Эту должность он занимал до самой смерти.

В стенах Тбилисского университета расцвел врожденный педагогический талант Александра Антоновича. С первых же дней включился он в сложную работу по созданию кафедры, налаживанию учебного процесса. Основное затруднение было в отсутствии учебников по кристаллографии и минералогии, не было и учебных наглядных пособий — моделей кристаллов, коллекций минералов. Александр Антонович решил написать учебник по геометрической кристаллографии. Не владея грузинским языком он написал свой учебник по-русски. Соломон Иорданишвили — тогда еще студент, а впоследствии известный ученый-филолог, перевел его на грузинский язык, а энергичная группа студентов сумела организовать издательское бюро и в марте 1920 года курс геометрической кристаллографии вышел в свет. В своих воспоминаниях А. А. Твалчрелидзе пишет: «Студенты были обеспечены учебником на родном языке, а за свой напря-

женный труд я был вознагражден четкими, сознательными ответами студентов на экзамене». Курс геометрической кристаллографии был одним из первых грузинских учебников, изданных для высшей школы. П. Г. Меликишвили высоко оценил не только сам учебник, но и ту оперативность, которая была проявлена при написании и издании учебника.

Учитывая большое значение коллекций минералов и пород преподавании минералогии и петрографии А. А. Твалчрелидзе с первых же дней работы в университете начал создавать музей. К тому времени он имел в этом отношении определенный опыт, а также был знаком с крупнейшими минералогическими музеями в Петербурге, Праге и Берлине.

После установления Советской власти в Грузии Александр Антонович не ограничивался чтением лекций лишь только в университете, а включился в ту большую просветительскую деятельность, которая развернулась по всей нашей стране. Он читал популярные лекции по минералогии, организовывал для учителей трудовых школ практические занятия, устраивал экскурсии для рабочих, красноармейцев и учителей, а при Доме работников просвещения устроил выставку «Минеральный мир окрестностей Тифлиса». В те же годы он читал специальный курс минералогии и петрографии для членов Туристского отдела Географического общества Грузии.

Работа Александра Антоновича всегда представляла собой сочетание различных отраслей геологической науки и практики. И эту черту своей деятельности он унаследовал от своего великого учителя — крупнейшего советского геолога и естествоиспытателя В. И. Вернадского (1863—1945 гг.).

Для всей деятельности Александра Антоновича, как геолога, характерна была практическая целенаправленность, несомненно сочетающаяся с глубокой теоретической разработкой исследуемых вопросов. С первых шагов его самостоятельной работы он старался принести как можно больше пользы своему народу.

С 1924 года А. А. Твалчрелидзе принимает активное участие в поисках полезных ископаемых и дальнейшую свою практическую деятельность прочно увязывает с работой Горного отдела ВСНХ Грузии и ЗакВСНХ. Осенью того же года он начинает по-

